


დათარი 15

განხილულია ბსუ-ს განათლების ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე, ოქმი № 5
16/V 2014 წელი
ბსუ განათლების ფაკულტეტის დეკანი
ასოგ. პროფ. მ. მიქელაძე



დამტკიცებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს სხდომაზე
ოქმი № 09 დღი 62, 22.05.2014
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი
პროფ. ბაკურიძე



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლების ფაკულტეტთან მოქმედი პედაგოგთა დახელოვნებისა და პროფესიული განვითარების ცენტრი
მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაცია

ინფორმაცია იურიდიული პირის ან ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირის შესახებ

სახელწოდება	„ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა და სტილისტიკა“ (ერთი მოდული)
საიდენტიფიკაციო ნომერი	
მისამართი	ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. #35
საკონტაქტო პირი	თემურ ავალიანი - ბსუ-ს განათლების ფაკულტეტთან არსებული პედაგოგთა დახელოვნებისა და პროფესიული განვითარების ცენტრის კოორდინატორი
ელექტრონული ფოსტა	temuriavaliani@mail.ru
საკონტაქტო ტელეფონი	(+995) 599-940-311

ზოგადი მონაცემები პროგრამის შესახებ

პროგრამის მიზანი	როგორც მრავალწლიანი პრაქტიკა გვიჩვენებს, ისეთი საკითხები, როგორცაა: სიტყვის სემანტიკის დროდნა, ცალკეულ სემანტიკურ და სტილისტიკურ ნიუანსებში წვდომა და კონტექსტისთვის მათი მისადაგება, ლექსიკური და გრამატიკული სტილისტიკის საკითხებისა და პარალელურ ენობრივ საშუალებათა სტილური ფუნქციების სიღრმისეული ცოდნა, სტილური ხარვეზების ამოცნობა, მართებულობის უმართებულობისა და უმჯობესის გარჩევა და კონკრეტულ ენობრივ სიტუაციაში მათი მიზანშეწონილობის გამოყენება, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა განუხრელი დაცვა, მეტყველების დაახლოება სალიტერატურო ქართულთან, მართებულ და უმართებულო ფორმათა გამიჯვნა, ტიპობრივ ორთოგრაფიულ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ შეცდომათა ანალიზი. – უჭირთ არა მხოლოდ საუნივერსიტეტო საფეხურზე. არამედ სკოლაშიც მასწავლებლებსაც კი. ამ თვალსაზრისით პროგრამაში მოცემული მასალა, სწავლების თანმიმდევრობა და
------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

	<p>მეთოდის მრავალი სიახლის შემცველია. მისი მიზანია, დაეხმაროს ყველა დაინტერესებულ პირს, განსაკუთრებით დაწყებითი/საბაზო/საშუალო სკოლის მასწავლებლებს ჩამოთვლილი საკითხების კიდევ უფრო ღრმად გააზრებასა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის დაუფლებაში, გამდიდრებასა და განვითარებაში.</p>
<p>პროგრამის შედეგი</p>	<p>პირს, რომელიც წარმატებით გაივლის პროგრამას შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ღრმად ჩაწვდეს ენობრივ საშუალებათა სტილურ ფუნქციებს, პარალელურ ფორმათა სტილისტიკურ ნიუანსებს და მოარგოს ისინი კონკრეტულ ენობრივ სიტუაციას. ▪ გააცნობიეროს სტილისტიკურად უმართებულოს, მართებულის და უმჯობესის გამიჯვნის აუცილებლობა. ▪ შეეჩვიოს ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვას; ▪ მეტყველება მაქსიმალურად დაუახლოვოს სალიტერატურო ქართულს, შეძლოს ტიპობრივ ორთოგრაფიულ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ შეცდომათა ანალიზი. ▪ ნათლად და გასაგებად გადასცეს ზემოთ აღნიშნულ საკითხებში თავისი ცოდნა მოსწავლეებს
<p>პროგრამის მოკლე აღწერა - ძირითადი თემები, რომლებსაც მოიცავს პროგრამა</p>	<p style="text-align: center;"><i>მოდული-1; „ქართული ენის სტილისტიკა“</i></p> <ul style="list-style-type: none"> • სტილი და მისი რაობა. • ფუნქციური სტილისტიკა. სტილის სახეობანი და მათი სპეციფიკური ნიშნები. სტილთა აღრევა. • პრაქტიკული სტილისტიკა და ენობრივი ვარიანტები. პარალელურ ფორმათა წარმოშობის საფუძველი. პრაქტიკული სტილისტიკის დანიშნულება (ენის სიწმინდის, დაცვა, ნათქვამის აზრობრივი სიზუსტე და სიცხადე, მეტყველების ექსპრესიულობა. სტილისტიკური ნორმა. ნორმისა და უზუსის საკითხები. • ლექსიკური სტილისტიკა. სინონიმი. აბსოლუტურ და რელატიურ სინონიმთა სტილური ფუნქციები. აბსოლუტურ სინონიმთა განმასხვავებელი ცალკეული ასპექტები (აზრობრივი შეხამებადობა, სადერივაციო შესაძლებლობები...). სინონიმური პარალელიზმის მოვლენა (უკავშირო, კავშირიანი და კომპოზიტური). სინონიმების წყვილად ხმარება და მათი სტილური ფუნქციები. დარღვევები სინონიმთა გამოყენებაში [წმინდა და სუფთა, ზერელე და ზედაპირული, მარტივი და იოლი, ძნელი და რთული]. • ანტონიმები. ენობრივი და კონტექსტური ანტონიმია. ანტონიმთა უმართებულო ფორმები. ანტონიმის სტილური ფუნქციები. • ლექსიკურ ნორმათა დარღვევები თანამედროვე ქართული პრესის ენაში. მნიშვნელობით შეუფერებელი სიტყვათშეხამებანი [გოლის //ტორტის ავტორი] სიტყვების არაზუსტად გამოყენება

[მაღალი, მაგარი, ცხელი, ტექნიკა, პროდუქტი, ფრონტი]; სიტყვა და შესიტყვება. სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება [სტარტი, ფინიში, დუეტი, ავტორი, პრობლემა].

- პარონიმია და მისი საფუძველი (სემანტიკური ნიუანსების უცოდინრობა, შინაარსობრივი სიახლოვე); უცხო სიტყვათა პარონიმია [ადრესატი და ადრესანტი, აღთქმა და აღქმა, ნოტი და ნოტა, მედიატორი თუ მედიატორე? პროტექტორი და პროტექე; კომპანია და კამპანია, პლაგიატი და პლაგიატორი, შესაძლოა და შესაძლებელია; მადლობა მოუხადა თუ მადლობა გადაუხადა?]. წარმოქმნილ სახელთა პარონიმია [ეფექტიანი და ეფექტური, ფაქტიური და ფაქტობრივი, ტიპობრივი და ტიპიური, ტიპური; მასობრივი, მასიური, მასური].
- ნეოლოგიზმები და მათი გამოყენება სტილური ფუნქციით. უავტორო და ინდივიდუალურ-საავტორო ნეოლოგიზმები (ოკაზიონალიზმები).
- ბარბარიზმები, არქაიზმებისა და დიალექტიზმების სტილური ფუნქციები მხატვრულ ლიტერატურაში.
- პროფესიული ტერმინოლოგია. ჟარგონიზმი, ვულგარიზმი და არგო. ენის ვულგარიზაციის ტენდენცია. ჟარგონული მეტყველება და ლექსიკის გაღარიბება. ეგზეციზმი და ტაბუ.
- ფრაზეოლოგიზმების სტილური ფუნქციები. იდიომები. წიგნური, წარმოშობის, ბიბლიური წარმომავლობის, ანტიკური ფილოსოფიიდან მომდინარე, ისტორიული მოვლენების ამსახველი ფრაზეოლოგია. ფრაზეოლოგიზმთა ოკაზიური გამოყენება და მათი დამახინჯება.
- ქართული ზუნებრივი თქმების დაცვის შესახებ. აღწერით ვნებითა გამოყენება სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის ენაში
- თანდებულიან ფორმათა მოჭარბებულად გამოყენება [სამშობლოს სიყვარული თუ სამშობლოსადმი სიყვარული?; ვისთან თამაშობს თუ ვის ეთამაშება? ვისთან კამათობს თუ ვის ეკამათება? მათთან მიაგზავნეს თუ მათ მიუგზავნეს?;მომავლისადმი რწმენა თუ მომავლის რწმენა?] [11, გვ. 163-239].
- უცხო სიტყვათა მოძალეება ქართულში [ქვიზი, რიმეიქი, ფართი, ტრანში, სეილი, კლიპმეიკერი, იმიჯმეიკერი, კასტინგი]. ნასეხები სიტყვები და მათი სტილური ფუნქციები. უცხოურ სიტყვათაგან ნაწარმოები სახელები: დაგეგმვა თუ დაგეგმარება; მექანიზება თუ მექანიზირება? რეკომენდებული თუ რეკომენდირებული; აპრობირება თუ აპრობაცია? ანექსაცია თუ ანექსირება? იმპროვიზირება თუ იმპროვიზება? ორგანიზირება თუ ორგანიზება? ბალზამირება თუ დაბალზამება?მექანიზირება თუ მექანიზება? ადმინისტრაციული თუ ადმინისტრაციული? დემონსტრაციული თუ დემონსტრაციული ?].
- გრამატიკული სტილისტიკის საკითხები. მორფოლოგიური სინონიმია; არსებით სახელთა

სინონიმია; მრავლობითი რიცხვის პარალელური ფორმები [ბავშვთა ოთახი და ბავშვების ოთახი; ქალების საზოგადოება და ქალთა საზოგადოება] და მათი სტილური ფუნქციები; აბსტრაქტულ სახელთა პარალელური ფორმები [სიკოხტავე, კოხტაობა; სიმხნევე, მხნეობა; ღვთისმოშიშობა, ღვთისმოშიშება] წარმოქმნილ სახელთა (ქონება-უქონლობის, დანიშნულების, აბსტრაქტული) პარალელური ფორმები [ხელოვანი, ხელოსანი, ხმოვანი, ხმოსანი, ძალოვანი, ძალოსანი, ძლიერი; უგონო, უგუნური, უვიცი, უმეცარი, უცოდინარი; უწიგნო, უწიგნური; სასპორტო და სპორტული; სამეცნიერო და მეცნიერული ; მესაზღვრე და მოსაზღვრე]. სინონიმური ნაცვალსახელები და რიცხვითი სახელები.

- ზმნურ ფორმათა სინონიმია [ეზარება თუ ეჯავრება? გაიგო თუ შეიტყო, ეწია თუ ეწვია? ნახა თუ იპოვა? გააგრძელებს თუ განაგრძობს; ეზარება თუ ეჯავრება; გაიხადა თუ გაიძრო? აცვამს და იცმევს; ეწია და ეწვია; გაიგო და შეიტყო; აქვს გააჩნია, მოეპოვება]
- გვარის ფორმათა მონაცვლეობა [გლობს თუ ეგუება? პასუხობს თუ უპასუხებს?]; ვნებითის პარალელური წარმოება [შეეშინა და შეშინდა] და მისი სტილური ფუნქციები, ორგანულ და აღწერით ფორმათა შენაცვლება [დაიწერა და დაწერილ იქნა; გაირიცხა და გარიცხულ იქნა] მიმღეობის პარალელურ ფორმათა სტილური ფუნქციები [მნახავი და მნახველი, სათალი და სათლელი].
- სინტაქსური სინონიმია. წინადადებათა ტიპები სტილური თვალსაზრისით; ტრანსფორმაცია; სახელდებითი წინადადება. პირდაპირი და ირიბი ნათქვამის სტილისტიკური თავისებურება. უზუსტობანი წინადადების აგების თვალსაზრისით. კავშირების უმართებულო გამოყენება. სიტყვათგანლაგება ქართულში. სიტყვათა რიგის სტილური ფუნქცია. სიტყვათა წყობის დარღვევით გამოწვეული უზუსტობანი. სასვენი ნიშნების სტილური ფუნქციები და დარღვევები მათ ხმარებაში.
- ტიპობრივი შეცდომები სიტყვათხმარებაში. პლეონაზმი [პირველი დებიუტი, პრემიერა, მკვიდრი// ადგილობრივი აზორიგენი, ადგილობრივი მკვიდრი, მოულოდნელი// კარგი// სასიამოვნო სიურპრიზი, არასასიამოვნო// ნეგატიური ინციდენტი; პირადი ავტოგრაფი // ავტოპორტრეტი, უფრო უკეთესი, ძალიან ულამაზესი, ოდნავ შეჭადრაკადა, ძალიან გადამწიფდა...]; ტავტოლოგია.
- კალკი [ადგილი აქვს, აწყობს, საქმე იმაშია, რომ; გაყიდვაშია, ხმარებაშია, მებნაშია, მოდაშია, გადაურეკა, აქედან გამომდინარე, ფაქტი სახეზეა, საქმის კურსშია, არ აწყობს...]
- შტამპი [აწარმოებს მიღებას, ახდენს შეფასებას, ატარებს კონკურსს].
- ატროფია [სამინლად უნდა// უყვარს// მოსწონს; ცუდი ავტორიტეტი, საოცრად არ უხდება, უსიამოვნო სიურპრიზი, სიზარმაცის წყალობით...].

- სხვადასხვა სახის სტილური ხარვეზის გასწორება.

მოდული-2: „ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა“

- ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა. ხმარებიდან გასული ასოები; ხმოვანთა და თანხმოვანთა კლასიფიკაცია. ძირითადი ფონეტიკური პროცესები.
- არსებით სახელთა ბრუნება. ფუძის კუმშვა-უკუმშველობა და კვეცა-უკვეცლობა. *[თვალი, წელი, დედა, მამა, ბებია, ბაბუა, ჭაღარა, მანქანა, სიმწარე, ანბანი, ექთანი, ლიმონი, ჟურნალი, კარდინალი, ტორილა, ნათურა, შუქურა, ბაჭია, პრანჭია, ბახალა...ავდარი, ნიაღვარი]* უკვეცელ სახელთა მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების ამოცნობა.
- უცხოური სახელების ბრუნება *[ზრენდი, ცუნამი, ვისკი, ჰიპი, ჰობი, სუფლე, დოსიე, ფაქსიმილე, ფოიე, კორიფე, დრაჟე, ეპისტოლე, ვარიეტე, ჟელე...]*; კუმშვად-კვეცადი და თავისებურად ბუნებადი არსებითი სახელები *[ფანჯარა, ქარხანა, ბეგარა... მოწმე, ქალამანი, დრო, ღვინო, ხბო...]*
- საკუთარ სახელთა ბრუნება. ფუძისეული და სახელობითი ბრუნვის ნიშანი საკუთარ სახელებში *[გენადი, კახი, ვახუშტი... ვახტანგი თუ ვახტანგ, ეთერი თუ ეთერ]*. უცხოური სახელების და გვარების მართლწერის საკითხები *[ვივალდმა თუ ვივალდიმ? მასტროინმა თუ მასტროიანიმ? თეკერეად თუ თეკერეიდ? გორკად თუ გორკიდე?]*
- სახელისა და გვარის ერთად ბრუნება *[ეთერ წერეთელი და არა ეთერი წერეთელი]*. *ფსევდონიმთა და შერქმეულ სახელ- გვართა არასწორი შემოკლებანი [შ. რუსთაველი, ლ.თათქარიძე...]*
- პროფესიის ან წოდების აღმნიშვნელ ქართულ და უცხოურ სახელთა ბრუნება *[ექიმი მეტრეველის თუ ექიმ მეტრეველის? პროფესორ შანიძის თუ პროფესორი შანიძის, ბატონ აკაკის თუ ბატონი აკაკის; მამაო არჩილმა თუ მამა არჩილმა? დონ, დონა, ფრაუ, ჰერ, პან; მის, მისის, მისტერ, მუსიე, ბარონი, ჰერცოგი, გრაფი, მარკიზი ...]*
- ქართულ და უცხოურ გეოგრაფიულ სახელთა ბრუნება *[სამტრედია, ქედა, ბანძა, ლელვა... აჭარას თუ აჭარის? სომალმა თუ სომალიმ? მაიამში თუ მაიამიში?]*
- სათაურების მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები *[ლექსში „მერანი“ თუ ლექს „მერანში“? მოთხრობა „აკაცია- ადამიანმა“ თუ მოთხრობამ „კაცია- ადამიანი“?]*
- ზედსართავ სახელთა *[მსხვილი, გრძელი, ტკბილი, წითელი, ყვითელი, კარგი, ცუდი]* ხარისხის ფორმების მართლწერა. ზედსართავი სახელის ბრუნება ცალკე და

- არსებითთან ერთად [წითელ კაბამ თუ წითელმა კაბამ? წითელ კაბის თუ წითელი კაბის?].
- მართლწერის საკითხები ნაცვალსახელთან დაკავშირებით [რეები თუ რაები? ვინები თუ ვინ? ზოგი ამხანაგები თუ ზოგი ამხანაგი? ერთი და იგივე კაცის თუ ერთი (სა) და იმავე კაცის, მათმა თქვეს თუ მათ თქვეს, ჩვენ ამხანაგს თუ ჩვენს ამხანაგს, ჩემ ძმამ თუ ჩემმა ძმამ? თავისი ლექსი და მისი ლექსი, მისი თუ მისეული... თითოეული ჩვენთაგანი თუ თითოეული ჩვენთაგანი? ყოველი ჩვენგანი თუ ყოველი ჩვენგანი?]. ნაწილაკიან ნაცვალსახელთა მართლწერა [ვისმე თუ ვინმეს, რადმე თუ რამედ].
- სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება და მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები აპლოდისმენტები, შორტები, სათვალეები, მკვლევარები თუ მკვლევრები? ორმაგი მრავლობითის უმართებულო ფორმები [კარებები], ნართანიანი მრავლობითის ერთნაირ ფორმათა ბრუნვის ამოცნობა.
- მართლწერის საკითხები რიცხვით სახელთან დაკავშირებით [20- ე, მე- 20- ე თუ მე- 20? მე- XX; XX- ე თუ XX ? კილო ნახევარი, კილონახევარი თუ კილო-ნახევარი? 20 თეთრიანი თუ 20- თეთრიანი?
- თანდებულთა ხმარებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები [ხიდან და ხისგან; ძმიდან თუ ძმისგან? შენსკენ თუ შენკენ? ჩემსგან თუ ჩემგან? ჩემს მიერ თუ ჩემ მიერ? ჩემს შესახებ თუ ჩემ შესახებ] თანდებულთა ხმარება ერთდროულად რამდენიმე სახელთან [ბათუმში, ქუთაისში და თბილისში თუ ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში ჩემ შორის?; მე და შენ შორის და შენ და ჩემ შორის ;
- ცალკეულ თანდებულთა უმართებულო შენაცვლება თვის, გამო, ზე, ში, თან, შესახებ [შენზე ვსაუბრობ, ქსეროქსზე მივდივარ, დაფაზე გამოვიდა; დაისაჯა დარღვევისთვის თუ დარღვევის გამო? ყურადღება მიპყრო რაღაცაზე თუ რაღაცას? ; ავტობუსზე ავიდა თუ ავტობუსში? ტბაზე ბანაობს თუ ტბაში? მომხმარებელზე მიწოდება თუ მომხმარებლისთვის ?; ბაზარზე თუ ბაზარში? ; შეიღებზე ზრუნვა თუ შეიღებისთვის? ; კონკურსს აცხადებს ვაკანტურ თანამდებობაზე თუ ვაკანტური თანამდებობითვის? თანდებულთა მონაცვლეობა.
- უცხოური ენიდან შემოსულ სახელთა მართლწერა [ხ თუ ქ; ქ თუ კ; თ თუ ტ; ჰ თუ გ [კოლოქვიუმი თუ კოლოკვიუმი? ადექვატური თუ ადეკვატური? პასკა თუ პასქა? ეთიკეტი თუ ეტიკეტი? სერთიფიკატი თუ სერტიფიკატი?]; ეი, ეუ, აუ დიფთონგის [ლეიზნიცი თუ ლაიზნიცი? ეინშტეინი თუ აინშტაინი?], яя яю კომპლექსთა [პლიუსი თუ პლუსი? ვენტლიაგია თუ ვენტლაგია? მანიკური თუ მანიკიური?] გადმოცემა ქართულში.
- წარმოქმნილ სახელთა [სადაო, უდაო თუ სადავო, უდავო? სამარხო თუ სამარხოვო?

ხანგრძლიობა თუ ხანგრძლივობა? შავოსანი თუ შაოსანი? თავოსანი თუ თაოსანი?

გამონაკლისები: ნათესაური, საპატიო, სასაფლაო, საკაცობრიო, ბუნებრიობა] და კომპოზიტთა [გულ მოკლული, გულ- მოკლული თუ გულმოკლული? არე- მარე თუ არემარე? ლუკმა- პური თუ ლუკმაპური? - ხარ-ირემი და ხარირემი; ექიმ სტომატოლოგი თუ ექიმ-სტომატოლოგი? პრემიერ-მინისტრი თუ პრემიერ-მინისტრი? ვიცემერი, ვიცე მერი თუ ვიცე- მერი?

ბალიშშითავჩარგული თუ ბალიშში თავჩარგული? ჭერ ქვეშ ჭერ- ქვეშ თუ ჭერქვეშ?]. ზმნის პირი. I სუბიექტური პირის ნიშნის შენარჩუნება ო და უ ფუძიან ზმნებთან; III პირის ნიშნის სწორად ხმარება სტატიკურ ზმნებთან [კვივა თუ კვიის, გააკეთენ თუ გააკეთეს..] მეშველზმნიანი და უმეშველზმნო ფორმები [ვტირივარ თუ ვტირი? ვმღერივარ თუ ვმღერი?; ვდგევარ, ვგვევარ, ვყევარ და მისთ. ფორმები.

- ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები და მათი მართლწერა [გავს, ყავს, ქონდა თუ თუ ჰგავს, ჰყავს, ჰქონდა? ძინავს თუ სძინავს? წყდება და სწყდება; ტირის და სტირის; წირავს და სწირავს; ყრის და ჰყრის; ფენია და ჰფენია; ცივა (გარეთ ცივა) და სცივა (მას სცივა); ცხელა და სცხელა, ჭირს (ბილეთები) და სჭირს (დაავადება); ცვივა (ფანტელი) და სცვივა (ხეს ფოთლები); კიდა (საათი) და ჰკიდა (ნაძვისხეს სათამაშოები)..ცდება (იგი) და სცდება (იგი ზღვარს); დის (წყალი), სდის (მას სისხლი); წერს და სწერს, მოწყვიტა და მოსწყვიტა].
- ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა მართლწერა: აღვნიშნე თუ ავღნიშნე, დნიშნავს თუ ნიშნავს? ანვეფრებს თუ ავეფრებს; დძრავს თუ ძრავს?.. ანვითარებს თუ ავითარებს? ანცალკეებს თუ ავცალკეებს? აღშფოთებს თუ აშფოთებს?.
- ვ' ბგერის ჩართვისა და დაკარგვის შემთხვევები ზმნათა ფუძეში [აჯადოებს- მოაჯადოვა- მოაჯადოოს-მოუჯადოებია;აქირავებს-გააქირავა-გააქირაოს, გაუქირავებია. გააუთოოს, მაგრამ: გაანიავოს, გაამწკრივოს, გაატყავოს, აატკივოს, გააღვივოს, გააცივოს, გაასივოს, გააშავოს (ამოსავალი: მწკრივი, ტყავი, შავი, ნიავი, ტკივილი)].
- თემის ნიშანთა მართლწერა. ხმოვანმონაცვლე ზმნები [ტეხავს თუ ტეხს, გრიხავს თუ გრეხს..].
- ვ თანხმოვნის ჩართვა- ჩაურთველობის საკითხი [დავაწყე თუ დავაწყე? დავამხე თუ დავამხე? მივანდე თუ მივანდე? დავაწყე თუ დავაწყე? დავამხე თუ დავამხე? მივანდე თუ მივანდე? უძღვოდა თუ უძღოდა? დაეწიენ თუ დაეწიენენ? შეერიენ თუ შეერიენენ? ამოძვრომა თუ ამოძვრომა?.
- -ავ და -ამ თემისნიშნიან და ორპირიან გარდაუვალ ზმნათა III სერიის ფორმები [დამიდგამს თუ დამიდგამა? შემისვია თუ შემისვამს? აუწონავს თუ აუწონია? მინახიხარ თუ მინახავხარ? უმუშავნია თუ უმუშავია? გაუტეხნია თუ გაუტეხია? ემუშავნა თუ ემუშავნა? ჰქვიებია თუ

რქმევია? გაჰყოლიყო თუ გაჰყოლოდა.

- სერიები და მწკრივები. ცალკეულ მწკრივთა წარმოების თავისებურებანი. ცნობს თუ ცნობილობს? იგებს თუ გებულობს? იტყობს თუ ტყობილობს? სროილობს თუ ისვრის? ადგია თუ ადგას? აკვრია თუ აკრავს? უჭერია თუ უჭირავს? ახურია თუ ახურავს? იმარბა თუ იმარბულა? დავათრე თუ დავათრე? ავაძრე თუ ავაძრე? ამოვყე თუ გამოვყავი? დაგჭარი თუ დაგჭერი? დარგა თუ დარგო? გავასწრე თუ გავასწარი? მოდი და მოხვედი [4, გვ. 132-133].
- შუალობითი კონტაქტის ფორმათა მართლწერა/ათესინებს თუ ათესვინებს? ანახებს თუ ანახვებს? გაასანთლვინა თუ გაასანთვლინა? დააშლია, დააშლევია თუ დააშლევინა? დაადგმია თუ დაადგმევინა? დააწერია თუ დააწერინა? დააგვეგმვია თუ დააგვეგმვინა? აატკია, აატკინა თუ აატკივა? [5, გვ. 133-135; 4, გვ. 135-138].
- ზოგი რთულფუძიანი ზმნის მართლწერა/თანაუგრძნობს თუ უთანაგრძნობს, აგადგემყოფობ თუ გაგადგემყოფობ? ვუზრუნველყოფ თუ უზრუნველვეყოფ? ვუარყოფ თუ უარვეყოფ? უთანაგრძნობს თუ თანაუგრძნობს? სულგდგმულობ თუ ვსულგდგმულობ?] [5, გვ. 120-123]; [4, 133-135].
- რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნები [მას თავს დაეცნენ თუ დაესხნენ? ისინი ზიან თუ სხედან? ფოთლები დავარდა თუ დაგვივდა? ხალხი მივარდა თუ მისცივდა? ბევრი მოკვდა თუ დაიხოცა? ბევრი ნაყოფი მოიბა თუ მოისხა? კენჭები გდია თუ ყრია? ბავშვები მანქანაში ჩავსვი თუ ჩავსხი? შდრ. ბეჭედში თვლები ჩასვა].
- საწყისის ფორმათა წარმოება [ჩებვა თუ ჩება? ტებვა თუ ტება? ტება და ტყდომბა; განზანვა თუ განზანა? გაბლინძვა თუ გაბლინძა? დაგლიჯვა თუ დაგლეჯა? ქროლვა თუ ქროლა? შეჯიბრი თუ შეჯიბრება? ჩართულობა თუ ჩართვა?].
- საწყისის მრავლობითი რიცხვის ფორმები: კვლევები, შიშები, წწევები ...
- მიმღობის ფორმათა წარმოება [მნახავი თუ მნახველი? ნანახი თუ ნახული? ნახატი თუ დახატული? დამწერი თუ მწერალი; მწოლარე თუ მწოლიარე? შემხედვარე თუ შემხედველი, შემხედვარი? გამცოცხლებელი თუ გამაცოცხლებელი? ამჩუყებელი თუ ამაჩუყებელი? სამადლობელი თუ სამადლობელი? დამწიფული თუ დამწიფებული? დაკიდული თუ დაკიდებული? დადებილი თუ დადებული? აბურძგული თუ აბურძგნილი? შეფუთილი თუ შეფუთული, შეფუთული თუ შეფუთნილი? გაბლენძილი თუ გაბლენძული? შენაგდები თუ შეგდებული? ნაშველები თუ ნაშველი? შენაზავი თუ შენაზავები? მომცინარი თუ მოცინარი? მომქმედი თუ მოქმედი? შეხედული თუ შესახედავი? გამოცხობილი თუ გამომცხვარი?].
- სინტაქსი. სინტაქსური შეკავშირების სახეები: შეთანხმება, მართვა, მირთვა.
- წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები. შედგენილი შემასმენელი. აღწერითი ვნებითისა

	<p>და შედგენილი შემასმენლის მართლწერა [დაწერილი იქნა თუ დაწერილ იქნა, აღდგენილ იქნას თუ აღდგენილ იქნეს...დაბრმავეებულები არიან თუ დაბრმავებული არიან?].</p> <ul style="list-style-type: none"> • ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხი [ფოთლები ირხევიან თუ ირხევა? ორი კაცი დასხდა თუ დაჯდა? ცოლ-ქმარი მოდიან თუ მოდის?]. • წინადადების ტიპები მოდალობის და აგებულების მიხედვით. რთული ქვეწყობილი წინადადების გადაქცევა მარტივად და მარტივისა რთულად. დამოკიდებული წინადადების წვერ-კავშირთა შეხამების ზოგი საკითხი მთავარი წინადადების ასახსნელ წვერთან [ის რომელიც თუ ის ვინც? ისეთი როგორც თუ ისეთი როგორც?]; მიზეზისა და მიზნის გარემოებათა აღრევის შესახებ? [რადგან თუ რათა? იმიტომ თუ იმისთვის?]. დროში შეუთანხმებლობა; პირში შეუთანხმებლობა. • ქვემდებარის ბრუნვა გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში. ზოგი ზმნური კონსტრუქციის ცვლილებათა გასათვალისწინებლად [მოუყვა, შეჰპირდა, შეეკითხა მან მას ის თუ ის მას მას? სცემა მან ის თუ მან მას] ერგატიული კონსტრუქცია [ყველამ უნდა ებრძოლოს თუ ყველა უნდა ებრძოლოს? მან ილანძღა, ივინა, თუ ის ილანძღა და ივინა, დაიმუქრა?]. • სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერა. პუნქტუაციასთან დაკავშირებული საჭირობოროტო საკითხები. • ორმაგი უარყოფა, როგორც შეცდომა და მისი გამოყენების აუცილებლობის შემთხვევები.
<p>მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, რომელსაც შეესაბამება პროგრამა</p>	<p>მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის პუნქტები, რომლებსაც შეესაბამება პროგრამის მისაღწევი შედეგები და შინაარსი:</p> <p>პროგრამა შეესაბამება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მე-13 თავის 30-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ მოთხოვნებს:</p> <p style="text-align: center;">ბ) მიმართულება კითხვა:</p> <p>ბ.ა) სხვადასხვა ჟანრის, ეპოქისა და კულტურის მხატვრული ტექსტების გაანალიზება ჟანრული მახასიათებლების, თემების, იდეებისა და პრობლემემატიკის, კომპოზიციური თავისებურების, სტრუქტურული ელემენტების, სიუჟეტის განვითარების, პერსონაჟის ხატვის ხერხების, მთხრობელის პოზიციის, ისტორიული კონტექსტისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების გათვალისწინებით;</p>

ბ.ბ) სხვადასხვა ეპოქის ტექსტებში ასახული პრობლემატიკის, თემებისა და იდეების გაანალიზება და შედარება ისტორიული, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით;

ბ.გ) სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტის მიზნის განსაზღვრა და შეფასება მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით;

ბ.დ) ტექსტის ლინგვისტური ანალიზი (ტექსტის სტრუქტურა; ტექსტის ფუნქციური ტიპები; ენობრივ-გამომხატველობითი საშუალებები);

ბ.ე) კითხვის სტრატეგიების გამოყენება (საჭირო ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა წყაროში; ტექსტებში მოწოდებული ინფორმაციის სანდოობის გადამოწმება; მარკირების სისტემის გამოყენება; სქემების, დიაგრამების, ცნებათა განმარტებების და ა.შ. გამოყენება მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და იდეების გასააზრებლად და დასამუშავებლად; ტექსტიდან სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის და ლექსიკური ერთეულების მონიშვნა/ამოწერა).

გ) მიმართულება წერა:

გ.ა) ტექსტების შექმნა წერილობით სხვადასხვა მიზნით და სხვადასხვა აუდიტორიისათვის, შესაბამისი სტრუქტურული მახასიათებლებისა და ენობრივი ნორმების დაცვით;

გ.ბ) წერის სათანადო სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება (მიზნისა და აუდიტორიის განსაზღვრა, ნაწერის დაგეგმვა, კომპოზიციის აგება, სამუშაო ვერსიის ხელახალი გადასინჯვა და რედაქტირება-კორექტირება).

დ) ენისა და ტექსტის ურთიერთმიმართება:

დ.ა) წინადადებისა და მისი კომპონენტების ორგანიზება;

დ.ბ) ტექსტისა და მისი კომპონენტების ორგანიზება (თავი, როგორც ტექსტის სტრუქტურული ნაწილი; აზნაფი, როგორც ტექსტის კომპოზიციური ერთეული; აზნაფის ფუნქციები; ფრაგმენტი და მისი სახეები და სხვა);

დ.გ) ტექსტის შემადგენელ კომპონენტთა სემანტიკური და სტრუქტურული ურთიერთდაკავშირების საშუალებანი (კავშირები, ანაფორული ნაცვალსახელები და ზმნიზედები, ლექსიკური განმეორება, სინონიმური ჩანაცვლება, ზმნა-შემასმენელთა ურთიერთმიმართება დროის, კილოსა და ასპექტის მიხედვით);

დ.დ) წინადადებათა გადაბმის სახეები (ჯაჭვური, პარალელური, შერეული);

	<p>დ.ე) მეტყველების ტიპების კლასიფიკაცია აგებულების მიხედვით (პირველი, მეორე, მესამე პირის მეტყველება და მისი გამოყენების სფეროები და თავისებურება);</p> <p>დ.ვ) ტექსტების კლასიფიკაცია სხვისი ნათქვამის გადმოცემის (ირიბი ნათქვამი, პირდაპირი ნათქვამი), მეტყველების მონაწილეთა რაოდენობის (მონოლოგი, დიალოგი, პოლილოგი) მიხედვით;</p> <p>დ.ზ) მეტყველების ფუნქციური ტიპები (აღწერა, თხრობა, მსჯელობა, მათი სტრუქტურული და სტილური თავისებურებანი);</p> <p>დ.თ) ტექსტების ფუნქციურ-სტილური ტიპოლოგია (სასაუბრო, სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი, მხატვრული, პუბლიცისტური);</p> <p>დ.ი) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები: ტროპული მეტყველება (ეპითეტი, მეტაფორა, ირონია, გაპიროვნება...), სტილისტური ფიგურები (განმეორება, პარალელიზმი...), ფრაზეოლოგიზმები, მყარი შესიტყვებები, დიალექტიზმი, ჟარგონი, ნეოლოგიზმი, და სხვ..</p> <p>ე) მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა:</p> <p>ე.ა) მხატვრული ტექსტის ელემენტები: მხატვრული ტექსტის ბგერითი ორგანიზაცია: ალიტერაცია, ასონანსი, რითმა; რითმის სახეები, გართმვის ხერხები; ბგერწერის ფუნქცია; მხატვრული ნაწარმოების ინტონაციური ანალიზი და გამომეტყველებითი კითხვა; გაპიროვნება, შედარება, მეტაფორა; აფორიზმი; სტილისტური ეფექტების შემქმნელი მხატვრული საშუალებანი (განმეორება, პარალელიზმი და სხვ.);</p>
პროგრამის ხელმძღვანელი	ნანა ცეცხლაძე - ბსუ-ს ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი,
პროგრამის შემუშავების თარიღი	2014 წლის მაისი
პროგრამის მოცულობა ECTS-კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) რაოდენობის მითითებით	პროგრამის მოცულობაა 2 ECTS კრედიტი (50 საათი, აქედან 30 საკონტაქტო საათი (28 საათი ტრენინგისათვის, 2 საათი ტესტირება) 20 დამოუკიდებელი მუშაობისათვის. 1 კრედიტის მოცულობაა 15 საათი საკონტაქტო, მათ შორის: 14 საათი საათი ტრენინგისათვის, 1 საათი ტესტირებისათვის) და 10 საათი დამოუკიდებელი სამუშაო.
პროგრამაში შემაჯავლი მოდულების სახელწოდება კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) რაოდენობის მითითებით	პროგრამა შედგება ორი მოდულისაგან – 1. „ქართული ენის სტილისტიკა“ 2. „ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა“ - მსმენელი ირჩევს ერთ-ერთ ნოდულს, რომლის მოცულობაცაა 2კრედიტი, სულ 50 საათი, მათ შორის საკონტაქტო 30 საათი, დამოუკიდებელი მუშაობისათვის 20 სთ.
პროგრამის ხანგრძლივობა/განაწილება დროში	დასაშვებია პროგრამისათვის სხვა მოდულების დამატებაც
	8 სატრენინგო დღე (დღეში 3 სთ 30 წთ.) ან 16 სატრენინგო დღე (დღეში 1 სთ. 45 წთ) შუალედში საშინაო დავალება, კონსულტაცია, ტესტირება. ტრენინგის სტრუქტურა და დროში განაწილება დამოკიდებულია ტრენინგის თავისებურებასა და მსმენელთა მოთხოვნაზე
პროგრამის მონაწილეთა შეფასების სისტემა:	ტრენინგის მონაწილე ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც განმავითარებელ შეფასებებს ეთმობა 60 ქულა, ხოლო ტესტირებას – 40 ქულა. განმავითარებელი შეფასება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

	<ul style="list-style-type: none"> ○ ტრენინგზე დასწრება –15 ქულა ○ ტრენინგზე აქტიურობა–30 ქულა ○ პორტფოლიოს პრეზენტაცია-15 ქულა
პროგრამის შეფასების სისტემა:	ყოველი სესიის შეფასების კითხვარი მსმენელებისათვის, მსმენელთა შეფასების შედეგების განხილვა; მწვრთნელების შენიშვნები და კომენტარები, მსმენელთა შეფასების შედეგების განხილვა და სხვა. პროგრამის შეფასების ანალიზი საფუძვლად უდევს ხარისხის გაუმჯობესებას.
პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი	<ul style="list-style-type: none"> ▪ საჯარო/კერძო საბაზო და საშუალო სკოლების მოქმედი მასწავლებლები და მასწავლებლობის მამიებლები; ▪ უსდ-ების სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ვინც მიზნად ისახავს ქართული ენის ლექსიკოლოგიასა და სტილისტიკაში ამაღლოს კვალიფიკაცია ან ჩააბაროს მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა;
პროგრამაში ჩართვის წინაპირობა	პროგრამაზე დაიშვებიან ბაკალავრის ან მაგისტრის (მაგისტრთან გათანაბრებული) დიპლომის მქონე პედაგოგები მუშაობის სტაჟის მიუხედავად, აგრეთვე პედაგოგიური განათლების მქონე პირები, ვინც მიზნად ისახავს პედაგოგიური საქმიანობის დაწყებას ან ქართულ ენასა და ლიტერატურაში კვალიფიკაციის ამაღლებას. პირის პროგრამაში ჩართვის მიზნით ბსუ-ს და პირს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რის საფუძველზეც დაიშვება ბსუ-ს რექტორის შესაბამისი ბრძანება.
ტრენინგზე მსმენელების მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა	მსმენელთა მინიმალური რაოდენობა 10, მაქსიმალური –24.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის (მწვრთნელების) რაოდენობა და ვინაობა	<ul style="list-style-type: none"> ▪ <i>ნანა ცეცხლაძე</i> - ფილოლ. მეცნ. კანდიდატი. ბსუ-ს ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოც.ი პროფესორი ▪ <i>მზია ხახუტაიშვილი</i> - ბსუ-ს ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი ▪ <i>შესაძლებელია</i> აგრეთვე კვალიფიცირებული პერსონალის მოწვევა ბსუ-ს რექტორის ბრძანებით
წლიური რეგიონული დაფარვა და გამტარიანობა	აჭარისა და გურიის რეგიონები
პროგრამის გავლის საფასური	ერთი კრედიტის ღირებულებაა 40 ლარი , შესაბამისად ორკრედიტიანი პროგრამის საფასურია 80 ლარი
ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესახებ	ბსუ პროგრამის მსმენელებს უზრუნველყოფს ბიბლიოთეკით, კეთილმოწყობილი აუდიტორიებით, სათანადო ტექნიკური საშუალებებით და დამხმარე მასალებით (ჰენდაუტები)